



სსიპ ქ.ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

მოტივაციის გაუმჯობესების გზების დანერგვა ქიმიის
გაკვეთილზე VIII კლასში

რუსულდან შავაძის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

ბათუმი

2018-2019

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა	5
1.1.პრობლემის აღწერა	5
1.2.პრობლემის გამომწვევი მიზეზები.....	6
1.3.კვლევის განხორციელების გზები	7
თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია	15
3.1. მშობელთა ანკეტირების ანალიზი	17
3.2.მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი	18
3.3.თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი	20
თავი 4. კვლევის ძირითადი დასკვნები და მიგნებები	21
თავი 5. ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება.....	24
თავი 6. ინტერვენციების შეფასება	30
თავი 7. დასკვნა.....	33
ბიბლიოგრაფია.....	35
დანართები.....	37
დანართი №1. სამოქმედო კვლევის ეტაპები.....	37
დანართი №2. კოლეგებთან შეხვედრის ოქმი #1	38
დანართი №3. მშობელთა თანხმობის ფურცელი	38
დანართი №4. მშობელთა ანკეტირება	39
დანართი №5. მოსწავლეთა გამოკითხვა	40
დანართი №6 კითხვები ფოკუსჯგუფისთვის.....	41
რეფლექსია	42

შესავალი

„ყველაფერი შეუძლებლად გეჩვენება, სანამ არ გააკეთებ!“

/ნელსონ მანდელა/

**„თუკი იმაზე ნაკლები ხარ, ვიდრე შეგიძლია იყო, მთელი ცხოვრება
უბედური იქნები“**

/აბრაჰამ მასლოუ/

მოტივაციის თემა ყველა დროის განათლების სისტემაში ყოველთვის ითვლებოდა სწავლების ერთერთ მთავარ ქვაკუთხედად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ საგანში სწავლების ხარისხი პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული მოსწავლეთა მოტივაციასთან ამ საგნის მიმართ. მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, საკითხის გაგება-გააზრების დაბალი დონე, დაბალი აკადემიური მაჩვენებლები შემაჯამებელ ტესტებში და ოლიმპიადებში - აი, იმ არასასურველ შედეგთა ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საგნის მიმართ უინტერესობამ და ცუდმა დამოკიდებულებამ. განსაკუთრებით ეს პრობლემა მწვავედ დგას საბუნებისმეტყველო საგნებში, კერძოდ ქიმიაში.მე, როგორც ქიმიის მასწავლებელს, ძალიან მაწუხებს ეს პრობლემა, რომელმაც თანამედროვე განათლების სისტემაში უკვე გლობალური სახე შეიძინა.

ვასწავლი ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ქიმიას VIII-IX-X-XI კლასებში. გადავწყვიტე, ჩემი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით კვლევა ჩამეტარებინა მოტივაციის ამაღლებაზე. ჩემს მიერ შედგენილი ნაშრომი ეძღვნება პედაგოგიური კვლევის ფარგლებში ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის VIII^ა კლასელთა მოტივაციის ამაღლებას ქიმიის გაკვეთილზე.

სამიზნე ჯგუფად ავირჩიე VIII^ა კლასი, იმ გაგებით, რომ მათთვის ქიმიის მიმართ დამოკიდებულება ძირითადად ამ ეტაპზე ყალიბდება. თუმცა წინა კლასებში ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზეც ჰქონდათ მათ ქიმიასთან შეხება, მაგრამ ქიმია, როგორც ცალკე საგანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

იწყება VIII კლასში. ჩემი მიზანი იყო, კვლევის პროცესში მიმეგნო და განმეხორციელებინა ისეთი სასარგებლო აქტივობებისთვის, რითაც გავუადვილებდი მოსწავლეებს სწავლას და შევუქმნიდი მეტ სტიმულს ქიმიის გაკვეთილების მიმართ.

სანამ კვლევას დავიწყებდი, წინასწარ გავიარე რეკომენდაციები კოლეგებთან როგორც საბუნებისმეტყველო კათედრაზე, ასევე თითქმის ყველა იმ პედაგოგთან, ვინც ამ კლასში ასწავლის. საკვლევი თემისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ გავესაუბრე სკოლის დირექტორს და ამ კლასის დაწყებითის მასწავლებელს, რის შედეგადაც მათგანაც მივიღე სასარგებლო რჩევები. საკვლევ თემასთან დაკავშირებით მეტი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის მიზნით გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას, რომელთა დახმარებით გამიადვილდა სტრატეგიების შემუშავება კვლევის წარმატებით განხორციელების მისაღწევად. შევიმუშავე დროის გეგმა, რომელშიც თვეების მიხედვით მითითებული მქონდა კვლევის განხორციელების ცალკეული ეტაპი (იხ. დანართი №1).

ნაშრომი შედგება სულ 7 თავისაგან, რომლებშიც წარმოდგენილი მაქვს კვლევის დიაგნოსტიკისა და თერაპიის ეტაპები.

კვლევის მიზანი: მოსწავლეებს შეექმნათ ქიმიის მიმართ მეტი ინტერესი და ამადლდეს მათი მოტივაცია. შესწავლილი იქნას მოსწავლეთა საჭიროებები, პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათ საფუძველზე შემუშავდეს ისეთი სტრატეგიები, რომელთა დახმარებითაც საგანი გახდება უფრო ადვილად გასაგები, სახალისო და საინტერესო. შესაბამისად გაიზარდოს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და გაუმჯობესდეს მათი აკადემიური მაჩვენებლები. მოსწავლეები დარწმუნდნენ იმაში, რომ ქიმია ნამდვილად საჭირო საგანია და მისი ცოდნის გამოყენება შესაძლებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პრაქტიკის კვლევის მთავარი კითხვა: როგორ გავაუმჯობესო მოტივაცია ქიმიის მიმართ? როგორ დავაინტერესო საგნით. როგორ გავხადო ქიმია უფრო სახალისო და მიმზიდველი საგანი.

თავი 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. პრობლემის აღწერა

ყველა მოსწავლეს აქვს განსხვავებული ქცევის, მოსმენის, გაგებისა და გააზრების უნარი. ვამჩნევდი, რომ ხშირად ჩემს მიერ კლასში ახსნილ მასალას მოსწავლეები სახლამდეც ვერ იმახსოვრებდნენ, რის გამოც უჭირდათ საშინაო დავალებების დამოუკიდებლად მომზადება. ამას მოსდევდა მომდევნო გაკვეთილზე მათი უინტერესოდ ყოფნაც. რადგან საკითხი კარგად გაგებული არ ჰქონდათ, შესაბამისად ვერ ახერხებდნენ ყურადღების კონცენტრირებას გაკვეთილზე და ნაკლებად ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში. ვერ იაზრებდნენ წაკითხულის ან მოსმენილის შინაარსს, ვერ ასრულებდნენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს დამოუკიდებლად, რადგან უჭირდათ პირობის გაგება. ერთი სიტყვით, მწვავედ იგრძნობოდა, რომ საგნის მიმართ მოტივაცია თანდათანობით ქვეითდებოდა. ვატყობდი, რომ ქიმია ხდებოდა მოსწავლეებისათვის ძნელი და მოსაბეზრებელი საგანი. ეს ფაქტი ჩემთვის იყო ძალიან ხელისშემშლელი საგაკვეთილო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის, რაზეც ძალიან ვღელავდი. დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მომეგვარებინა ეს პრობლემა. უნდა გამომენახა ისეთი გზები, რაც მოსწავლეებში აამაღლებდა მოტივაციას ქიმიის მიმართ, რის საფუძველზეც მოიმატებდა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და სწავლის ხარისხიც გახდებოდა უფრო უკეთესი.

როგორც შესავალში ავღნიშნე, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიე VIII^ა კლასი და მათი მშობლები. კლასში არის 33 მოსწავლე. სკოლა, სადაც მე ვასწავლი, გამოირჩევა კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებით. ყველა კლასში დამონტაჟებულია კომპიუტერი თავისი პროექტორით, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის საინტერესოდ და ხარისხიანად წარმართვისათვის. გვაქვს ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია ექსპერიმენტების ჩატარება და კვლევითი პროცედურების განხორციელება. სკოლის სტატუსიდან გამომდინარე მოსწავლეებს გაძლიერებით უტარდებათ ფიზიკისა და მათემატიკის გაკვეთილები. სკოლის პედაგოგთა 90%-ზე მეტი სერტიფიცირებულია. ერთი სიტყვით, ამ პირობებიდან

გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ, რომ საგანმანათლებლო პროცესის დროს მოსწავლეებმა უნდა აჩვენონ კარგი აკადემიური შედეგები. თუმცა, აზრი შეგვეცვლება, თუ გავითვალისწინებთ ტესტირებებისა და ოლიმპიადების ცუდ შედეგებს განსაკუთრებით ქიმიაში.

1.2 პრობლემის გამომწვევი მიზეზები

სასწავლო წლის დასაწყისში VIII^ა კლასის მოსწავლეებს გავაკეთებინე მოლოდინების ხე. თითოეულ მათგანს ფერად ბარათზე უნდა დაეწერა საკუთარი მოლოდინი ქიმიის, როგორც ახალი საგნობრივი დისციპლინის მიმართ. მოსწავლეებმა გულახდილ;ი პასუხებით გამოხატეს თავიანთი მაღალი მოლოდინები საგნის მიმართ.ასეთივე მოლოდინი მქონდა მეც, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ გამოიკვეთა სერიოზული პრობლემა, რომელმაც დამაწყებინა ფიქრი იმაზე, თუ როგორ მომეგვარებინა საქმე ისე, რომ მოსწავლეების მიერ ფერად ფურცლებზე დაწერილი ლამაზი მოლოდინები საგნის მიმართ მარტო ფურცელზე არ დარჩენილიყო და რეალობად ქცეულიყო. ვაკვირდებოდი, თუ რა იყო ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

მკაფიოდ შეიმჩნეოდა სწავლისა და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას. ჩანდა, რომ მათი დიდი ნაწილი სახლში საკმარისად არ მუშაობდა, შესაბამისად, მხოლოდ გაკვეთილზე მოსმენილი მათთვის უკვე საკმარისი აღარ იყო საკითხის გაგება-გააზრების მიზნით. საგნისადმი ზერელე დამოკიდებულება და სიღრმისეული ცოდნის ნაკლებობა აშკარად გამოიკვეთა პირველივე შემაჯამებელი მუშაობის შედეგებშიც.

ჩემი ყოველდღიური დაკვირვებით გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის გამომწვევი შემდეგი სავარაუდო მიზეზები:

- დროის უკმარისობის ფაქტორი, რაც მდგომარეობს შემდეგში:საგაკვეთილო მასალის გაცნობა და სწავლა, დავალებების შესრულება დიდ დროს მოითხოვს. გარდა სკოლისა მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობებში არიან ჩაბმულნი(სპორტი,

მუსიკა, ცეკვა და ა.შ.). ამიტომაც უმეტესად დრო არ რჩებათ დავალებებისთვის და ცდილობენ სწრაფად და ზერელედ შეასრულონ ისინი. შესაბამისად მოსწავლეები ვეღარ ახერხებენ საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და თანდათანობით სირთულეები ემატებათ საგანში,

- მასალის სირთულე:სახელმძღვანელოებში ზოგჯერ არის შეუსაბამობა მასალის სიღრმისეულ მოცულობასა და კვირეული დატვირთვით განკუთვნილ დროს შორის, რაც ხშირად მიზეზი ხდება სწავლის დაბალი მოტივაციისა. სასწავლო მასალის სირთულის გამო მოსწავლეებს უჭირთ წაკითხულის გაგება-გააზრება და ტერმინოლოგიის დამახსოვრება.
- დაბალი თვითშეფასების გამო არ ჰყოფნით გამბედაობა სირთულეების დასაძლევად, ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში.ჰგონიათ, რომ საგანი რთულია და ვერ ისწავლიან.
- სუსტად განვითარებული დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამო მოსწავლეები უმეტესად ვერ ახერხებენ როგორც საშინაო დავალების, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებას. რაც პირდაპირ აისახება საგნის მიმართ მოტივაციის დადაბლებაში.
- ვერ ახერხებენ ტრანსფერს, რის გამოც მოსწავლეებს უძნელდებათ ქიმიის გაკვეთილზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვა დისციპლინებთან, ამ დროს საკითხი მათთვის რთულდება. ეს კი უკვე მიზეზი ხდება საგნის მიმართ დემოტივაციისა.
- იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლეებს ახასიათებთ განსაკუთრებული ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლოა ამ ასაკში მათი დემოტივაციის ერთერთ მიზეზად ეს ფაქტორიც ჩაითვალოს.
- შეიმჩნეოდა ყურადღების შემცირება მშობლების მხრიდან.

1.3 კვლევის განხორციელების გზები

ჩემთვის, როგორც ქიმიის მასწავლებლისთვის ძალიან აქტუალური იყო ის, რომ პრაქტიკის თემად ავირჩიე მოტივაციის ამაღლება VIII^o კლასში. მიმაჩნია, რომ სწავლების ამ საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგნის

მიმართ მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. პრობლემის სავარაუდო მიზეზების დადგენისას ვაკვირდებოდი მოსწავლეთა სწავლის სტილს, მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან დამოკიდებულებებს. ვგეგმავდი მათთან უკეთ დაახლოების სტრატეგიებს, ვთანამშრომლობდი მშობლებთან. ვცდილობდი, რომ არ გამომპარვოდა რაიმე ისეთი ინფორმაცია, რაც დამეხმარებოდა კვლევის წარმატებით განხორციელებაში.

ვფიქრობ, რომ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ მიმართულებით სწორად გამოვკვეთე გარკვეული სასწავლო საჭიროებები, რადგანაც ჩემი მიზანი იყო ქიმიის მიმართ მოტივაციის ამაღლებით გაუმჯობესებულიყო მოსწავლეთა სწავლის ხარისხი და შესაბამისად გაზრდილიყო აკადემიური მოსწრების დონეც.

ჩემი საკვლევი თემის შესახებ ვაცნობე სკოლის დირექტორს, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მისი რეკომენდაციები. პრაქტიკის კვლევის თემა ჩემთვის უფრო მეტად დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ამ მიზნით გავესაუბრე ჩემს კოლეგებს კათედრის სხდომაზე (იხ. დანართი №2). აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს დაბალი მოტივაცია აქვთ არა მარტო ქიმიაში, არამედ სხვა საბუნებისმეტყველო საგნებშიც. ასევე მქონდა კონსულტაციები იმ პედაგოგებთან, ვინც ამ კლასში ასწავლის, კლასის დამრიგებელთან და ამ კლასის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთან. თითოეული ჩემი კოლეგის მოსაზრება და გამოცდილება დამეხმარა კვლევის განხორციელების მიზანმიმართული გზების პოვნაში.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე მარტივი არ იქნებოდა ჩემთვის VIII კლასის მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევა. ამიტომაც პრობლემის მოსაგვარებლად უფრო კომპლექტური გადამჭრელი ზომების მიღების მიზნით გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას სწავლის მოტივაციის შესახებ. ჩემი კვლევის პროცესში ძალიან დამეხმარა განათლებისა და ფსიქოლოგიის თეორეტიკოსთა მოსაზრებები და მიდგომები სწავლის მოტივაციის ამაღლების მიმართ. გავეცანი

როგორც ბიჰევიორისტულ, ასევე კონსტრუქტივისტულ მიდგომებს. ორივე მიდგომა მოტივაციას განიხილავდა, როგორც მოქმედებას სასურველი ქცევის მისაღებად.

ბიჰევიორისტული თეორიის მიმდევარი იყო ამერიკელი ფსიქოლოგი ბერას ფრედერიკ სკინერი. მისი აზრით, ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება გარე ფაქტორებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი სოციალურ გარემოში იძენს. ასევე ისინი ამბობდნენ, რომ პიროვნული თავისებურებების მიუხედავად, ბავშვს შეუძლია ნებისმიერი ქცევის დასწავლა, თუ მას სათანადო განმტკიცება მოჰყვება. „თუ ჩვენ გვინდა, რომ მოსწავლეებმა ხშირად იკითხონ, იაქტიურონ გაკვეთილზე, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ ღონისძიებებში, ითანამშრომლონ თანაკლასელებთან და ასე შემდეგ, ჩვენ ეს ქცევები მაშინვე უნდა განვამტკიცოთ, როგორც კი მოსწავლეები მათ გამოამჟღავნებენ. ამავე დროს, მასწავლებელმა არ უნდა განამტკიცოს მოსწავლეთა არასასურველი ქმედებები.“/განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008გვ.77/ ბიჰევიორისტების აზრით სასურველი ქცევის მისაღებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები. ჩემს პრაქტიკაში ამ მხრივ უპირატესობას ვანიჭებდი პოზიტიურ განმამტკიცებელ სტიმულებს: შექება, მაღალი ქულა, მშობლის თანდასწრებით შექება და ა.შ. რაც შეეხება ნეგატიურ სტიმულს (ცუდი ნიშანი, დასჯა) მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება მისი გამოყენება არასასურველი ქცევის თავიდან აცილების მიზნით.

კონსტრუქტივისტული თეორიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს „აღმოჩენებით სწავლა“, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეები თვითონ აღმოაჩენენ და გარდაქმნიან რთულ ინფორმაციას იმისათვის, რომ ახალი ცოდნა გაითავისონ. ამ დროს სწავლების აქტიური წევრი ხდება მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი გადადის ფასილიტატორის როლში. ამ თეორიის მიმდევარი იყო ამერიკელი ფსიქოლოგი ჯერომ ბრუნერი. „აღმოჩენებით სწავლა“ გამოყენებული მქონდა ერთერთ ინტერვენციად ჩემი პრაქტიკის კვლევაში ქიმიის კლუბის მუშაობის დროს.

„მიეცით მოსწავლეებს ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება; დაეხმარეთ მათ ცნებებისა და პრინციპების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავსირებაში - ამით

ისინი მოახდენენ ცოდნის ორგანიზებას; ჩართეთ საკლასო დისკუსიებში; მიეცი ისეთი დავალებები, რომლებიც რეალურ სამყაროსთან არის დაკავშირებული; დაეხმარეთ თეორიების აგებაში: წააქევეთ, იკითხონ „რატომ?“ და „როგორ?“ სთხოვეთ, წინასწარ გამოთქვან ვარაუდი, რა მოხდება საკლასო ექსპერიმენტის დროს. გამოიყენეთ ანალოგიები, რათა მოსწავლეებს ახალი ცნებების, იდეებისა და მოვლენების უკვე არსებულ ცოდნასთან დაკავშირებაში დაეხმაროთ. მიეცით ფიზიკური და სიმბოლური მოდელები ან მაგალითები. მასალის ახსნის დროს გაითვალისწინეთ მოსწავლის კოგნიტური განვითარების დონე. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ახალ მასალაზე და იგი ძველ გამოცდილებას დაუკავშირონ“, - ამ რჩევებს მასწავლებლებს კონსტრუქტივისტები აძლევენ („ბრუნერის მეთოდი განათლებაში“ 25 ოქტომბერი, 2012. თამარ კაციტაძე).

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ჩემთვის ამერიკელი ფსიქოლოგის და განათლების სპეციალისტის ჯონ დიუის იდეები, რომლის მიხედვითაც განათლება უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას, არამედ გამოცდილებას. დიუიმ შექმნა განათლების კონცეფცია, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმდინარეობას-პროგრესივიზმს. პროგრესივიზმის მთავარი სლოგანია „სწავლა კეთებით“.

განსაკუთრებით მინდა ავლნიშნო ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაამ მასლოუს შრომები მოტივაციაზე. იგი იყო ერთერთი პირველი, ვინც ადამიანის ქცევის დადებითი მხარეების შესწავლა დაიწყო და შექმნა მოტივაციის ცნობილი ჰუმანისტური თეორია. მისი აზრით, ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. ხოლო ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით განხორციელებული ქცევებით პიროვნება თანდათანობით აღწევს თვითაქტუალიზაციას. მასლოუ განასხვავებს მოთხოვნილებათა ორ ძირითად კატეგორიას. ესენია: თანდაყოლილი ანუ ბიოლოგიური და შეძენილი ანუ სოციალური და პიროვნული მოთხოვნილებები. მასლოუმ წარმოადგინა მოთხოვნილებათა იერერქიული მოდელი, რომელიც მასლოუს პირამიდის სახელით არის ცნობილი. ამ პირამიდაზე პირველ საფეხურს წარმოადგენს ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, მეორე საფეხურს ქმნის უსაფრთხოების

მოთხოვნილება, მესამეს- კუთვნილების და სიყვარულის მოთხოვნილება, მეოთხე საფეხურზე არის საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება, ხოლო მეხუთე საფეხურს ქმნის თვითრეალიზაციის მოთხოვნილება. ამრიგად, მასლოუს ცნობილი მოტივაციის თეორია დაფუძნებულია მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელზე. ჩემი კვლევისთვის მისაღები იყო ის არგუმენტი, რომ მოტივაცია უბიძგებს მოსწავლეს სასურველი ქმედებისთვის თვითრეალიზაციის ანუ თვითაქტუალიზაციის მისაღწევად. თუმცა, ამ უმაღლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი ინდივიდუალურია. ზოგჯერ ხდება, რომ პიროვნება საერთოდ ვერ აღწევს ამ საფეხურს ან ძალიან გვიან ახერხებს ამ უმაღლეს საფეხურზე ასვლას იმის გამო, რომ დაბალ საფეხურზე მას არ შეექმნა შესაბამისი პირობები თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. „მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს. რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობას და პატივისცემას იჩენს, ძალუძს, გაუღვიძოს მოსწავლეებს სწავლის სურვილი. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, აუცილებელია სჯეროდეთ, რომ მასწავლებელი მათ სამართლიანად მოექცევა. არ დასცინებს და არ დასჯის უნებლიე შეცდომების დაშვებისათვის“ (განვითარებისა და სწავლის თეორიები. გვ. 180).

მოტივაციის ამაღლებისათვის საინტერესო იდეები აქვს შემოთავაზებული ამერიკელ მეცნიერს ჯონ კელერს („მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კელერისეული მოდელი“ 1 აპრილი, 2016. ნინო კაპანაძე-ინტერნეტგაზეთი- mastsavlebeli.ge). აღნიშნულ სტატიაში ავტორი ხაზს უსვამს, რომ მოტივაციის ამაღლების კელერისეულ მოდელში გამოიყოფა 4 ძირითადი ფაქტორი. ესენია: ყურადღება, აქტუალობა, თავდაჯერებულობა და კმაყოფილების განცდა. მისი აზრით, მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის აუცილებელია ამ ოთხი ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით პირობების შექმნა. ავტორის აზრით, გაკვეთილი რომ წარმატებულად წარიმართოს, მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ისეთი სტრატეგია, რომ დასაწყისშივე მოიპოვოს მოსწავლეთა ყურადღება. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ რაიმე დამინტრიგებელი კითხვა, ვიდეო, ფოტო ან სხვა მოულოდნელი რამ ისეთი, რაც გაკვეთილის თემას უკავშირდება. ამ მომენტის

შეტანას გაკვეთილის გეგმაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივების მიზნით.

კელერის აზრით, მხოლოდ ყურადღების გაღვივება საკმარისი არ იქნება მოტივაციის ასამაღლებლად, თუ გაკვეთილის თემა მოსწავლისთვის ფასეული არ ხდება. ამიტომაც ახალი თემის ახსნისას მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმაში უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და სწავლის სტილი. საკუთარ თავს უნდა დაუუსვას კითხვა, როგორ დავაკმაყოფილოთ მოსწავლეთა საჭიროებები და როგორ დავუკავშიროთ გაკვეთილის გეგმა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს. სწავლის მოტივაციის შესაქმნელად კელერის აზრით, მოსწავლეს უნდა შევუქმნათ წარმატების მოლოდინი. ამისათვის პირველ რიგში მოსწავლეს უნდა გააჩნდეს თავდაჯერებულობის განცდა. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეს შეექმნას რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ზოგჯერ მოტივაციის ცვლილებაზე წარუმატებლობაც მოქმედებს. ჩემს პრაქტიკაში ხშირად მქონდა ისეთი შემთხვევები, როცა წარუმატებლობის შემთხვევაში მოსწავლეს ეკარგებოდა რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ და თვითშეფასების უნარის შესუსტების გამო სწავლის მოტივაციაც იკლებდა. ამ შემთხვევაში ვცდილობდი, რომ მოსწავლისათვის სწორად ამეხსნა წარუმატებლობის მიზეზი, გონივრულად მიმეცა მისთვის განმავითარებელი შეფასება, რომელიც ხელს შეუწყობდა სიტუაციის სწორად გააზრებას და თავდაჯერებულობის განმტკიცებას. რაც საბოლოო ჯამში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლების და მისი შემდგომი წარმატებებით კმაყოფილების განცდის საწინდარი ხდება.

მოტივაციის შინაარსში ძირითადად იგულისხმება განწყობა ამა თუ იმ ქცევის მიმართ რაიმე მიზნის მისაღწევად. გავეცანი დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიას“.

საინტერესო იყო ჩემთვის მეცნიერ ჯონ ატკისონის აზრი მოტივაციის შესახებ. იგი თვლის, რომ ნებისმიერ ადამიანს ამოძრავებს ორი შექმნილი თვისება: წარმატების მიღწევა და მარცხის თავიდან აცილების სურვილი. „წარმატების მიღწევის გამძაფრებული სურვილის მქონე ადამიანები ცდილობენ კონკურენციის გაწევას, ხოლო მარცხის თავიდან აცილების გამძაფრებული სურვილის მქონენი

ყველანაირი ხერხით ცდილობენ თავიდან აიცილონ კონკურენცია“(ოუნსი და ვალესკი 2010).

ფსიქოლოგები ასახელებენ მოტივაციის ორ ფორმას: გარეგანი და შინაგანი. გარეგანი მოტივაცია კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვაა, რომელიც წახალისებულია გარე ფაქტორებით(მაღალი ქულა, სიტყვიერი შექება, ჯილდო, აღიარების სურვილი). ხოლო, შინაგან მოტივაციას წარმოადგენს კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვა, რომელიც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ან რაიმეს აღმოჩენის სურვილით არის გამოწვეული. უამრავი კვლევით დასტურდება, სწავლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს მეტად აქვთ შინაგანი მოტივაცია, რომელიც თანდათან კლებულობს შემდეგ კლასებში. სწავლების მაღალ საფეხურზე მოსწავლეები უფრო მეტად ანგარიშს უწევენ ისეთ გარეგან ფაქტორებს, როგორცაა, თუნდაც საგნების პრიორიტეტებად დაყოფა, თუ მისაღებ გამოცდაზე არ ბარდება საგანი, მას აღარ სწავლობს. მოსწავლე კარგავს მოტივაციას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკისრება მასწავლებელს. ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო აქტივობები, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებას.(„მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები“ ქ.თოფაძე. გვ.3-5)

ცნობილი მკვლევარი მარზანო(Marzano,1998,2003)წარმოადგენს სამ ძირითად ფაქტორს, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე: სკოლის დონე, პედაგოგის დონე და მოსწავლის დონე. ის ამტკიცებს, რომ პროცენტული შეფარდებით სხვაობა ყველა 30 კატეგორიისთვის ზეგავლენას ახდენს მიღწევებზე შემდეგი სახით: მოსწავლის დონეზე 80%, სკოლის დონეზე 6,7% და მასწავლებლის დონეზე 13,3%. მოსწავლეთა მიღწევების გაზრდა ან შემცირება, სკოლისა და მასწავლებლის დონის სხვადასხვა ეფექტის შედეგად, დამოკიდებულია სკოლისა და მასწავლებლის და არა მოსწავლის კონტექსტზე. მარზანო ამტკიცებს, რომ ეფექტიანი სკოლის ცვლადი დომინირებს საშუალო მასწავლებლის ცვლადზე, მაგრამ ვერ შეცვლის არაეფექტური პედაგოგის სწავლებას. მეორე მხრივ, ეფექტიანი მასწავლებლის ცვლადი არა მხოლოდ ცვლის საშუალო სკოლის ცვლადს, არამედ არაეფექტიანი სკოლის კომპენსირებასაც ახდენს.

მოტივაციის ამალღების გზების ძიებაში ჩემთვის კარგი რესურსი იყო ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“. განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიქცია თეო ჭყოიძის სტატიებმა: „რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამალღებას“ 24 ოქტომბერი, 2013 და „სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები“ 6 იანვარი, 2015. სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლის მოტივაციას რამდენიმე შიდაპიროვნული ფაქტორი განაპირობებს. ეს ფაქტორებია: ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა დამოკიდებულებები და მოთხოვნები. მოსწავლეთა სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით, თეო ჭყოიძის მიერ მასწავლებლებს ეძლევა შემდეგი რეკომენდაციები:

- „შექმენით მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო;“
- „შეიტანეთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;“
- „გამოიყენეთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;“
- „მიეცით მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;“
- „გამოხატეთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;“
- „შეეცადეთ განსაზღვროთ, დამოკიდებულებების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;“
- „ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართეთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დაანახეთ საკუთარი მნიშვნელობა;“
- „მიეცით მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;“ („რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამალღებას“ 24 ოქტომბერი, 2013 თეო ჭყოიძე)

თითოეული ზემოთდასახელებული წყაროს გაცნობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი შემდეგში:

- მოტივაციის ამაღლებისთვის მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს ცნობისმოყვარეობა მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ მოსწავლემ შეძლოს თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.
- მოტივირებული მოსწავლე დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და არ ჰქონდეს შეცდომის დაშვებისას შიშის გრძნობა გაკვეთილზე.
- გარდატეხის ასაკში მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გამოწვევა არ არის მარტივი და ამ პრობლემის გადაჭრა პრიმიტიული ხერხებით შეუძლებელია. თუმცა სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული მეთოდებიც არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურ მზა მეთოდად. შეიძლება ამ მეთოდების მოდიფიცირება და მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგება.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის სანდოობის გაზრდისა და მეტი დამაჯერებლობის მიზნით გამოვიყენე მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები თავიანთი ინსტრუმენტებით. ამ თავში გაგაცნობთ ჩემს მიერ გამოყენებულ კვლევის მეთოდებს, რითაც შევძელი პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ამ მიზეზების შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა.

როგორც შესავალში ავღნიშნე, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა მოლოდინები საგნის მიმართ იყო უფრო მაღალი, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი მოტივაცია ძალიან დაბალი იყო, რაც პირდაპირ აისახებოდა სწავლის ცუდ ხარისხზე. მიზნად დავისახე, სიღრმისეულად შემესწავლა ყველა ის ფაქტორი, რაც დაკავშირებული იქნებოდა ქიმიაში VIII^o კლასის მოსწავლეთა დაბალ მოტივაციასთან, რათა ჩემი მიზნობრივი ჩარევებით სასწავლო წლის განმავლობაში ეს პრობლემა როგორმე მომეგვარებინა. კვლევა დავიწყე 2018 წლის ოქტომბერში, რომელიც გრძელდებოდა 2018-2019 სასწავლო წლის ბოლომდე. კვლევის პერიოდში გამოვიყენე სხვადასხვა რესურსი, რომლებიც წარმოდგენილი მაქვს დანართების სახით. კვლევა ჩავატარე ინდივიდუალურად.

კვლევის პერიოდი დაეყავი ორ ეტაპად: დიაგნოსტიკის და თერაპიის ეტაპებად. შევადგინე კალენდარი (დროის გეგმა), რომელშიც მონიშნული მქონდა განსახორციელებელი აქტივობები თვეების მიხედვით (იხ. დანართი №1). კვლევის დაწყებამდე მშობლებს გავუგზავნე „თანხმობის ფურცელი“, 33 მშობლიდან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა 31-მა (იხ. დანართი №3).

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე ანკეტირება მშობლებთან (იხ. დანართი №4). ჩემი მიზანი იყო გამერკვია, თუ რა როლი მიუძღვის მშობელთა თანამშრომლობას და ჩართულობას სწავლის პროცესში მოტივაციის ამაღლების მიზნით. აღმოვაჩინე, რომ მშობლების დიდი ნაწილი დაკავებულია და ვერ ახერხებს მასწავლებლებთან თანამშრომლობას. ასევე გამოვიკვლიე, თუ რამდენად იყენებენ მშობლები თავიანთ შვილებთან წახალისებას ან დასჯას მოტივაციის გაზრდის მიზნით,

მოსწავლეებთან გამოკითხვის დროს გამოვიყენე შერეული ტიპის კითხვარი ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი №5). გამოვიკვლიე, თუ რა სახის წახალისება ზრდის მასწავლებლის მხრიდან მოტივაციას, როგორი ტიპის გაკვეთილები მოსწონთ, რამდენად არის შესაძლებელი სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით მოტივაციის ამაღლება. რა როლი აკისრია მოტივაციის დაქვეითებაში მასალის სირთულეს, მასწავლებლის არაობიექტურობას ან თვითშეფასების დაბალი დონეს.

თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვება. ინტერვიუ მქონდა კლასის დამრიგებელთან და ამ კლასის სხვადასხვა საგნის მასწავლებელთან. მონაცემთა ანალიზმა ჩემი მოსაზრებები კიდევ უფრო გაამყარა და დადგინდა, მოსწავლეებს დაბალი მოტივაცია აქვთ არა მარტო ქიმიაში, არამედ ფიზიკასა და ბიოლოგიაშიც. გაირკვა, თითქმის ყველა საგანში დაბალი მოტივაციის ერთერთ მიზეზს წარმოადგენს მასალის სირთულე, რომლის გაგება-გააზრებას უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში, უჭირთ საშინაო დავალებების დამოუკიდებლად შესრულება, მშობლებისგან ნაკლებად გამოიხატება თანადგომა და დაინტერესება შვილების სწავლის ხარისხით.

ინტერვიუში დამრიგებელმა და საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ VIII კლასი ასაკობრივი თავისებურებებით ბავშვისთვის რთული პერიოდია, ამიტომ ამ ეტაპზე საჭიროა მასწავლებლისა და მშობლის მეტი სიახლოვე ბავშვთან და მშობლების მეტად თანამშრომლობა სკოლასთან.


ფოკუს-ჯგუფისთვის მიზნობრივად შევარჩიე 7 მოსწავლე ამ კლასიდან დაბალი, საშუალო და მაღალი აკადემიური მოსწრებით. ამ ჯგუფისთვის წინასწარ მქონდა მოფიქრებული ღია კითხვები, რომლებიც უკავშირდებოდა მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების ძიებას (დანართი №6).

3.1.რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი

როგორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, რაოდენობრივი კვლევის მიზნით ჩავატარე მშობელთა ანკეტირება და მოსწავლეთა გამოკითხვა. წარმოგიდგინო ჩემს მიერ თითოეული ამ ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებულ შედეგებს.


მშობელთა ანკეტირების ანალიზი

31გამოკითხული მშობლიდან 22 პასუხობს, რომ მის შვილს უძნელდება ქიმიის გაგება და დამოუკიდებლად სწავლა.



დიაგრამიდან ჩანს, რომ 71% მშობლების შვილებს უძნელდებათ სახლში ქიმიის გაგება და სწავლა, რაც თავისთავად მოქმედებს მოტივაციის დადაბლებაზე.

კითხვაზე, ხართ თუ არა ჩართული თქვენი შვილის სწავლის პროცესში მოტივაციის ამაღლების მიზნით? 31 გამოკითხულიდან მხოლოდ 12-მა მშობელმა გასცა დადებითი პასუხი, 19 მშობელი ვერ ახერხებს შვილის სასწავლო პროცესში ჩართვას და მასწავლებლებთან თანამშრომლობას.




როგორც დიაგრამიდან ირკვევა, მშობლების 61% ვერ ახერხებს სხვადასხვა მიზეზის გამო შვილის სასწავლო პროცესის გაკონტროლებას და მასწავლებლებთან თანამშრომლობას.

3.2 მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი


პრობლემის უკეთ შესწავლის მიზნით ჩავატარე VIII^ა კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა. 33 მოსწავლიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 31-მა კითხვარი შედგენილი იყო, როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის კითხვებით(დანართი №5).

გამოკითხული 31 მოსწავლიდან 20 ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ქიმიას გამოიყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ მხოლოდ 35% აცნობიერებს.

აცნობიერებთ თუ არა იმ ფაქტს, რომ ქიმიაში მიღებულ ცოდნას გამოიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში?



ხართ თუ არა აქტიურად ჩართული საგაკვეთილო პროცესში?



გამოკითხული 31 მოსწავლიდან, მხოლოდ 13 მოსწავლეა ჩართული საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ანუ მოსწავლეთა 58% ვერ ახერხებს ჩართვას.

კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელს მიიჩნევდით ყველაზე მეტ სირთულედ ქიმის სწავლებისას?

ა) ტექსტზე მუშაობა ბ) ფორმულების შედგენა გ) ამოცანების ამოხსნა
 დ) წაკითხულის გაგება - გააზრება.

გამოკითხულ მოსწავლეთა 10% პასუხობს, რომ ტექსტზე მუშაობა უჭირს, 21%-ს - ფორმულების შედგენა, 28%-ს ამოცანების ამოხსნა, 41% მოსწავლეებისა ვერ ახერხებს წაკითხულის გაგებასა და გააზრებას.

კითხვაზე, რამდენად ობიექტურია მასწავლებელი შეფასების დროს, მოსწავლეთა 60% მიიჩნევს, რომ მასწავლებელი ობიექტურად აფასებს მათ, 27% ამბობს, რომ ნაწილობრივ ობიექტურია, ხოლო 13%-ის აზრით, მასწავლებელი მათ არაობიექტურად აფასებს.

კითხვაზე, თუ გაკვეთილზე მუშაობის რომელი ფორმა მოწონთ, მოსწავლეთა 48%-მა დაასახელა ჯგუფური მუშაობა, 35%-მა წყვილებში მუშაობა დაასახელა, ხოლო დარჩენილმა 17% აირჩია დამოუკიდებელი მუშაობა.

ღია ტიპის კითხვებიდან გამოიკვეთა, რომ ქიმიის გაკვეთილები არ უნდა იყოს ერთფეროვანი, რადგან ამ დროს საგანი უინტერესოა და მოსაბეზრებელი ხდება. გაკვეთილი მით უფრო საინტერესო და დასამახსოვრებელია, თუ ხშირად ჩატარდება ექსპერიმენტი, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვადასხვა სახალისო აქტივობა. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ საგნის მიმართ მოტივაცია მით უფრო დიდია, რაც მეტად ხდება საგანთან კონტაქტი სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებით(მაგალითად, კლუბის მუშაობა, ვებგვერდზე ქიმიის ჯგუფის შექმნა, პრეზენტაციების, ვიქტორინების მოწყობა და ა.შ.). ასევე, მოსწავლეთა პასუხებიდან გაირკვა, რომ მათი დიდი ნაწილი ვერ ახერხებს გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრირებას და ახსნილი მასალის გაკვეთილზევე გაგებას. გაკვეთილისთვის დათმობილი დრო ყველა მოსწავლისათვის არ არის საკმარისი საკითხის სიღრმისეულად გასაგებად. ამიტომ უჭირთ უმეტესად დავალების დამოუკიდებლად შესრულება და მასალის დამახსოვრება.

3.3 თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი

თვისობრივი კვლევის მიზნით მქონდა ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებელთან. მათი პასუხებიდან გაირკვა, რომ დაბალი მოტივაციის მიზეზი არის ძირითადად ის, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, რაც უფრო მეტი იქნება

მოსწავლეთა ჩართულობა, შესაბამისად მოტივაციაც მაღალი იქნება. ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითებას იწვევს ცუდად შედგენილი სახელმძღვანელოები, მცირე კვირეული დატვირთვა, კლასში მოსწავლეთა სიმრავლე, სიზარმაცე, არასისტემატურობა. მშობლების გულგრილი დამოკიდებულება შვილების სწავლისადმი. ასევე აღნიშნული იქნა, რომ მოსწავლეებს კარგად არა აქვთ გაცნობიერებული თავიანთი უფლება-მოვალეობანი, საკუთარ თავს უფრო მეტ უფლებებს ანიჭებენ და დავიწყებული აქვთ მოვალეობები სკოლის შინაგანაწესის მიმართ. ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, მასწავლებლების თქმით VIII კლასი ასაკობრივად გარდატეხის პერიოდია და ეს ფაქტორიც აუცილებლად მოქმედებს მათი სწავლის მოტივაციაზე, ამიტომ უნდა გამოინახოს ისეთი გზები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ამ ეტაპზე სწავლისადმი ინტერესის გამძლიერებას.

მოსწავლეთა გამოკითხვის შემდგომ, ჩემი კვლევის უფრო მეტი სანდოობის მიზნით მქონდა ინტერვიუ ფოკუს-ჯგუფთან. როგორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, ფოკუს-ჯგუფისთვის მიზნობრივად შევარჩიე სხვადასხვა აკადემიური მოსწრების 7 მოსწავლე. კითხვარი შევადგინე ძირითადად ისეთი კითხვებით, რომლებიც კიდევ უფრო დამეხმარებოდა კლასში არსებული დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენაში.

ფოკუს-ჯგუფის დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სახელმძღვანელოში მოცემული ვრცელი ტექსტების დამახსოვრება უჭირთ. ქიმია საბუნებისმეტყველო საგანია და ყველაზე მეტად მოსწავლეებს ახალისებს ექსპერიმენტების ჩატარება. ასევე მოსწავლეთა პასუხებიდან გაირკვა, რომ ქიმიის გაკვეთილზე შეინიშნება დისციპლინის დარღვევებიც, რაც სწავლაში ხელისშემშლელია. განსაკუთრებით დისციპლინას არღვევენ ის მოსწავლეები, რომლებსაც არ სურთ ან ვერ სწავლობენ ქიმიას. მათი აზრით, ასეთ მოსწავლეებთან აუცილებელია ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება.

თავი 4. კვლევის ძირითადი დასკვნები და მიგნებები

ამ თავში გაგაცნობთ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩემს მიერ მიღებულ ძირითად დასკვნებსა და მიგნებებს. ჩემი

ვარაუდები VIII^ა კლასში ქიმიის გაკვეთილზე არსებული დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ, გამართლდა. როგორც დახურული, ასევე ღია კითხვის პასუხებით გამოიკვეთა დასკვნები და დადგინდა, რომ ქიმიაში დაბალი მოტივაციის მიზეზებია შემდეგი:

1. იმის გამო, რომ მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ სხვადასხვა წრეებში და მასწავლებლებთან დადიან, ვეღარ ასწრებენ სახლში საშინაო დავალების ხარისხიანად მომზადებას. უმეტესად მასალა რჩებათ წაუკითხავი და მოუმზადებელი დროის უკმარისობის გამო.
2. სახელმძღვანელოები, მასალის სირთულე და დიდი მოცულობა შეუსაბამობაშია მოსწავლის ასაკობრივ და ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან. უმეტესად ვერ ახერხებენ წაკითხულის გაგება-გააზრებას. არ არიან დარწმუნებულები პასუხის სისწორეში და ხშირად მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს ვერ პასუხობენ. გამომდინარე აქედან, აქვთ დაბალი თვითშეფასება. ეს ყველაფერი, უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე.
3. მოსწავლეებს სუსტად აქვთ განვითარებული ტრანსფერის უნარი, რადგანაც უძნელდებათ ცოდნის გადატანა ერთი სფეროდან სხვა სფეროში. უჭირთ თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკული სავარჯიშოების ამოხსნისას.
4. მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ დაბალი მოტივაციის ერთერთ მიზეზს წარმოადგენს მშობელთა ნაკლები ყურადღება სასწავლო პროცესის მიმართ. მშობლების დიდი ნაწილი არასახარბიელო ცხოვრების პირობების გამო იძულებულია, მთელი დღე იმუშაოს საარსებო მინიმუმისთვის. სახლში გვიან ბრუნდებიან დაღლილები და ვეღარ ახერხებენ შვილების სწავლის პროცესის კონტროლს. თუმცა ისინი უკმაყოფილონი არიან შვილების აკადემიური მოსწრების დონით.

დიაგნოსტიკური კვლევის შედეგების ანალიზის დროს აღმოვაჩინე შემდეგი მიგნებები:

- მოსწავლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დაბალი მოტივაციის გამო ადვილად ეფანტებათ ყურადღება, ვერ უსმენენ და ვერ ახერხებენ გაკვეთილის გაგებას. ამ

კუთხით გამოიკვეთა სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა განსხვავებული ტიპის პასუხები. სუსტი მოსწავლეები აღნიშნავენ: „მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი გასაგები ენით ხსნის ახალ მასალას, მაინც ვერ ვხვდები და მიძნელდება სახლში დავალებების დამოუკიდებლად შესრულება“. თუმცა ამის მიზეზად ისინი უფრო მეტად მათ სიზარმაცეს და არასისტემატურობას ასახელებენ. მათი აზრით, კარგი იქნებოდა გაკვეთილის განმეორებით ახსნა ან სახლში ვინმესგან დახმარება.

- ძლიერი მოსწავლეების პასუხებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას კარგად ხვდებიან, თუმცა მათთვის გაკვეთილზე დრო აღარ რჩება უფრო რთული დავალებების შესასრულებლად. რადგან მასწავლებლის ყურადღება გადატანილია კლასის დიდ ნაწილზე, რომლებსაც დაბალი შედეგები აქვთ სწავლაში. ამის გამო ძლიერი მოსწავლეების მოტივაციაც ქიმიის მიმართ შესაძლებელია, რომ დაქვეითდეს. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ გაკვეთილის მეტი დრო დაეთმობა პრაქტიკული სავარჯიშოების კეთებას და შესრულება სხვადასხვა დონის სირთულის დავალებები.
- მოსწავლეთა ღია პასუხებში აისახა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ქიმიის ლაბორატორია, დროის სიმცირისა და გარკვეული მიზეზების გამო ხშირად ვერ ხერხდება კვლევითი ექსპერიმენტების ჩატარება. ქიმიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროექტებით სწავლებას, ექსპერიმენტების ხშირად ჩატარებას, სახალისო აქტივობების (მაგალითად, ვიქტორინების მოწყობა, კროსვორდების შედგენა, ქიმიური თამაშები) დაგეგმვასა და განხორციელებას.
- დაბალი მოტივაციის ერთერთ მიზეზად დასახელდა ქიმიასთან სუსტი კომუნიკაცია საგნის არაპრესტიჟულობის გამო. მოსწავლეთა უმრავლესობა თვლის, რომ ქიმია მეორეხარისხოვანი საგანია, რადგანაც იშვიათად მიუთითებენ მას ჩასაბარებელ საგნად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ამიტომაც მის მიმართ გულგრილად არიან განწყობილნი. თვლიან, რომ არ ღირს დროის დაკარგვა, არ ჭირდებათ და იმიტომ არ სწავლობენ. ვერ წარმოუდგენიათ, ქიმიას თუ გამოიყენებენ სამომავლოდ მათი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების

მიზნით. ამიტომაც არ აინტერესებთ ამ დარგში საინტერესო სიახლეებისა და მეცნიერული მიღწევების გაცნობა.

ჩემს მიერ დასახელებული კვლევის დასკვნებისა და მიგნებების აღმოჩენის საფუძველზე დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა გადამჭრელი ღონისძიებები გამეტარებინა რათა შესაძლებელი გამხდარიყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

შემდეგ თავში განვიხილავთ, თუ რა ინტერვენციები დავგეგმე პრობლემის მოგვარების მიზნით და როგორ განვახორციელე თითოეული მათგანი.

თავი 5. ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

ამ თავში შემოგთავაზებთ იმ ინტერვენციებს, რომლებიც დავგეგმე მონაცემთა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ანალიზის შედეგად. ინტერვენციების სწორად დაგეგმვის მიზნით გავითვალისწინე სხვადასხვა თეორეტიკოსებისა და ფსიქოლოგების მოსაზრებები მოტივაციის ამაღლების შესახებ. ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გადავწყვიტე ჩემი როლი გაკვეთილზე შემემცირებინა, ვყოფილიყავი მხოლოდ ფასილიტატორი და ხელი შემეწყო მათთვის, რომ საგაკვეთილო პროცესში ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ჩართულები.

ინტერვენცია №1. შებრუნებული საკლასო ოთახი“.

კვლევის მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ უმეტესწილად ქიმიაში მოტივაციის დაქვეითებას იწვევს ის, რომ მოსწავლეები სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით ვერ ასწრებენ ერთხელ ახსნილი მასალის გაგებას და საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებას, უჭირთ გაგება-გააზრება. ამ მიზნით გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას და კოლეგების გამოცდილებას. გადავწყვიტე, ქიმის გაკვეთილზე გამომეყენებინა შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი.

მიზანი:სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო დროის ოპტიმიზაცია. გაკვეთილზე უფრო მეტი დროის დათმობა საკვანძო საკითხებზე და პრაქტიკულ სავარჯიშოებზე, ვიდრე ლექციურად ახსნაზე.

მინდა ავლნიშნო, რომ ეს მეთოდი ჩემთვის იყო სიახლე. მისი გამოყენების იდეა მომაწოდა სკოლის დირექტორმა, როცა ამ კლასის დაბალი მოტივაციის შესახებ მქონდა მასთან საუბარი. დახმარება გამიწია აგრეთვე კლასის დამრიგებელმა. მეთოდის წარმატებით გამოყენების მიზნით წინასწარ ვესაუბრე მშობლებს და მოსწავლეებს. გავაცანი ინსტრუქცია და ავუხსენი, რომ ვაპირებდი სპეციალურად VIIIკლასისთვის ვიდეო-გაკვეთილების ჩაწერას, ავლნიშნე, რომ კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს გაკვეთილისთვის დათმობილ დროში ახსნილი მასალის გაგებასა და გააზრებას, ამიტომაც ეს ფაქტორი სწავლის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს, შესაბამისად დაბალია როგორც მიმდინარე, ასევე შემაჯამებელი წერების შედეგები. ავუხსენი, რომ ამ მეთოდით მოსწავლეებს წინასწარ ეძლევათ სახლში მოსასმენად ჩემს მიერ ჩაწერილი ახალი გაკვეთილი, ხოლო კლასში ისინი შეასრულებენ საშინაო დავალებას. გაკვეთილის სახლში მოსმენის შემდეგ უნდა შეევსოთ „კორნელის ცხრილი“, რომლითაც ისინი შემლებდნენ გაკვეთილის ანალიზს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის ჩანიშვნას (იხ.ჩემი გაკვეთილების ლინკი <https://www.youtube.com/watch?v=y7zcT2cv0HA>).

რადგანაც ამ მეთოდის გამოყენების მხრივ პირადი გამოცდილება არ მქონდა, ამიტომ კვლევის მიზნით ავირჩიე მხოლოდ ერთი თემა: „პერიოდული სისტემა და ატომის აღნაგობა“. ამ თემის ყველა პარაგრაფის მიხედვით ჩემს მიერ იქნა დამუშავებული და ჩაწერილი ვიდეო-გაკვეთილები. ავლნიშნულმა აქტივობამ მიიღო პროექტის სახე. მასში აქტიურად ჩაებნენ არა მარტო მოსწავლეები და მათი მშობლები, არამედ სკოლის დირექცია, ისტ მენეჯერი, კლასის დამრიგებელი და საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები.

შედეგი: მოსწავლეთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ჩაება ამ აქტივობაში, გაკვეთილზე მოიმატა ჩართულობამ და თანამშრომლობამ. გაკვეთილი გახდა ინტერაქტიური, დაიწყეს ჩანაწერების გაკეთება გაკვეთილის ირგვლივ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს პერიოდული სისტემისა და ატომის შესახებ.

გაკვეთილზე მეტი დრო გამოთავისუფლდა პრაქტიკული სავარჯიშოების ამოსახსნელად. საკითხს უფრო ადვილად იგებდნენ, რადგან სახლში უკვე მოსმენილი და ახსნილი ჰქონდათ წინასწარ. ამიტომ ის ხელშემშლელი ფაქტორები, რაც საგაკვეთილო პროცესში მანამდე ფიქსირდებოდა მოსწავლეთა მხრიდან ცუდი ყოფაქცევის სახით, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. მეტი ჩართულობით თანდათანობით გამდიდრდა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი ქიმიურ ტერმინოლოგიაშიც. შესაბამისად მოტივაციაც ქიმიის მიმართ თანდათანობით გაიზარდა. ვფიქრობ, რომ აღნიშნულმა ინტერვენციამ გაამართლა. თუმცა მცირე ნაწილისთვის ეს აქტივობა გამოუყენებელი დარჩა სუბიექტური მიზეზების გამო. ამის მიზეზი იყო თავიანთი სიზარმაცე ან ინტერნეტის უქონლობა სახლში.

ვაპირებ ამ ინტერვენციის გაგრძელებას იმავე კლასში სწავლების შემდეგ საფეხურზე და აუცილებლად გამოვიყენებ სხვა კლასებშიც, როგორც ჩემს მიერ შექმნილ სასწავლო რესურსს.

ინტერვენცია №2. “ჯგუფის შექმნა ვებგვერდზე

მიზანი:საინტერესო ინფორმაციების მოძიებითა და გაზიარებით, შემოქმედებითი თანამშრომლობით გაიზარდოს მოსწავლეთა კავშირი ქიმიასთან. რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას ქიმიის გაკვეთილზე.

მოსწავლეებს ქიმიასთან მეტი კომუნიკაციის მიზნით შევთავაზე, შეექმნათ ჯგუფი ვებგვერდზე. რომელიც იქნებოდა მათთვის დასაყრდენი ონლაინ-პლატფორმა სიახლეების, საინტერესო ინფორმაციების, სახალისო აქტივობების, ტესტების და კითხვა-პასუხის დასაფიქსირებლად. სოციალურ ქსელში შეიქმნა ჯგუფი „ქიმია 8 კლასელები“. ჯგუფს ჰყავდა 2 მოდერატორი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უსაფრთხო მუშაობას. ჯგუფს ჰქონდა ინტერაქტიური გამოხმაურებები. ფიქსირდებოდა საინტერესო და განსხვავებული მოსაზრებები. მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაინტერესებული იყო, წაეკითხა და მოეძია უფრო მეტი, რაც ქიმიას უკავშირდებოდა.

შედეგი: აღნიშნული ინტერვენციით მოსწავლეთა ცნობიერება არამარტო ქიმიაში, არამედ სხვა საბუნებისმეტყველო საგნებშიც გაცილებით ამაღლდა და ადრინდელი

დამოკიდებულება საგნის მიმართ, რომ ქიმია არაპრესტიჟული საგანია, შეიცვალა დადებითად. მოსწავლეებს განუვითარდათ თანამშრომლობისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეძლეს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზანმიმართული გამოყენება.

ინტერვენცია №3. “სწავლა კეთებით“

მიზანი: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მეტი ჩართულობით, მიზანმიმართული ქმედებით სწავლის ინტერესის გაღვივება და ცოდნის შექმნა.

დიაგნოსტიკური კვლევის მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ დაბალი მოტივაციის გამო მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში. პრობლემის მოგვარების მიზნით გადაწყვიტე, მომეფიქრებინა ისეთი სახალისო აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეები არა მარტო გონებით, არამედ ფიზიკურადაც იქნებოდნენ ჩართულები, ცოდნას შეიძენდნენ კეთების პროცესში. აღნიშნული ინტერვენციის დაგეგმვისას გამოვიყენე ამერიკელი ფსიქოლოგის ჯონ დიუის იდეები „კეთებით ანუ გამოცდილებით სწავლის“ შესახებ. მისი აზრით, ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობით ყალიბდება. იგი ამბობდა, რომ ცოდნაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი გამოყენებაა. გადაწყვიტე საგაკვეთილო პროცესში მეტი დრო დამეთმო მოსწავლეთა კოგნიტური ქმედებებისათვის.

ამ მიზნით გაკვეთილზე ხშირად შემქონდა თამაშის სტილის დავალებები, კროსვორდები, კოგნიტური სქემები, შესავსები ცხრილები და სხვა. ასეთი დავალებები განსაკუთრებით ეფექტური იყო თემის შეჯამების დროს. მოსწავლეებს იმდენად მოსწონდათ ასეთი აქტივობები, რომ თვითონაც გაუჩნდათ მსგავსი ტიპის დავალებების მოფიქრების სურვილი. თანდათანობით გაკვეთილის პროცესში ჩაერთო სუსტი და დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეებიც. გაკვეთილი მათთვის უკვე აღარ იყო მოსაბეზრებელი. შესაბამისად ამაღლდა მათი თვითშეფასების დონეც და მოტივაციაც.

ინტერვენცია №4. კლუბის შექმნა

მიზანი: გაუჩნდეთ ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევისა და სიახლეთა აღმოჩენის მიმართ. განუვითარდეთ ტრანსფერის უნარი, რითაც შეძლებენ ქიმიის როლის გაცნობიერებას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩემი დაკვირვებით, გამოკითხვით, კოლეგებთან და მიზნობრივად შერჩეულ ფოკუს-ჯგუფთან ინტერვიუს ჩატარებით აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს არა აქვს გაცნობიერებული ქიმიის ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში. გამოკითხულთა ღია პასუხებში დაფიქსირდა, რომ ქიმიის გაკვეთილზე მოტივაციას გაზრდის ექსპერიმენტების ხშირად ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს კარგად მოწყობილი ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორია, მასალის სირთულის, მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებისა და მცირე კვირეული დატვირთვის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება გაკვეთილზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ცდების ჩატარება. რადგან ამას ჭირდება დრო, სიფრთხილე და კარგი დისციპლინა. ამიტომაც გადავწყვიტე შემექმნა ქიმიის კლუბი. კლუბში გაწევრიანდნენ ქიმიით დაინტერესებული მოსწავლეები. შემუშავდა კლუბის სამოქმედო გეგმა და მუშაობის განრიგი. კლუბის შეხვედრებზე ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტები, ისეთი, რომელთა ჩატარებაც გაკვეთილის პროცესში ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა. კლუბის მუშაობაში დამეხმარა საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტი „ნორჩ ქიმიკოსთა კლუბების ქსელის შექმნა“. პროექტის მიზანი იყო ქიმიის სწავლების პროცესში პრაქტიკული მეცადინეობებითა და ექსპერიმენტების ჩატარებით მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა ქიმიის მიმართ.

შედეგი: კლუბის მუშაობამ დიდი როლი ითამაშა ქიმიის პოპულარიზაციაში, ხელი შეუწყო მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას. მათთვის შესაძლებელი გახდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რითაც ხელი შეეწყო ცოდნის ტრანსფერის უნარის განვითარებას. აღნიშნულ ინტერვენციას აუცილებლად გამოვიყენებ ჩემი პრაქტიკის შემდეგ ეტაპებზეც.

ინტერვენცია №5. როლური თამაში - „მოსწავლე-მასწავლებელი“

მიზანი: რეალური სიტუაციის სიმულაციით მოსწავლეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის, პასუხისმგებლობის, თვითრეალიზაციისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება

რესპოდენტთა ღია პასუხებითა და ჩემი დაკვირვებით გამოჩნდა, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ მოსწავლე-მასწავლებლის როლებში ყოფნა. ვიფიქრე, გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლების მიზნით ერთერთ ინტერვენციად ამერჩია როლური თამაში. ამ აქტივობას ხშირად ვიყენებ სხვა კლასებშიც. როლური თამაშის გამოყენება სწავლების ერთერთი აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული ინტერვენციის გამოყენების მიზნით შევადგინე ჯგუფები, რომლებშიც რამდენიმე სუსტ მოსწავლეს მივამაგრე აკადემიურად ძლიერი მოსწავლე(მასწავლებლის როლში). შექმნილი მქონდა 5 ჯგუფი, ანუ კლასში მყავდა 5კოლეგა-მასწავლებელი. ისინი დიდი პასუხისმგებლობითა და ხალისით ასრულებდნენ მასწავლებლის როლს. მინდა ავღნიშნო, რომ მათ ძალიან მოსწონდათ ეს როლი. ამ აქტივობამ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას ძალიან შეუწყო ხელი და ჩემთვის აღმოჩნდა ეფექტური რესურსი სუსტი მოსწავლეების მეტად დაინტერესების მიზნით. თუმცა, ზოგჯერ ჯგუფებში ადგილი ჰქონდა შეუთანხმებლობას. კონფლიქტში რომ არ გადაზრდილიყო, ამ შემთხვევაში ვერეოდი შეთანხმების მიზნით.

ინტერვენცია №6. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

მიზანი: დადებითი განწყობის შექმნა გაკვეთილის მიმართ, საინტერესო და სახალისო აქტივობებით მოსწავლეთა მეტი ჩართულობა და სწავლა-სწავლების პროცესის გაადვილება. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება.

კვლევის დიაგნოსტიკის ეტაპზე დავადგინე, რომ ქიმიის სწავლების პროცესში მოტივაციის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყურადღების მობილიზებას. მოსწავლე რაც უფრო მეტად ყურადღებითაა, უფრო მეტად აქტიურობს, სვამს კითხვებს, საჭირო შემთხვევაში აკეთებს უკუკავშირს. სწავლის

მოტივაციას 21-ე საუკუნის მოსწავლეს ვერ შეუქმნის მხოლოდ წიგნი, დაფა და ცარცი. უამრავი ინტერნეტ-რესურსი არსებობს, რითაც შეიძლება ქიმიის გაკვეთილი ვაქციოთ მოსწავლისათვის სახალისოდ და აქტიურ გაკვეთილად. ის ფაქტი, რომ სკოლაში ყველა საკლასო ოთახი და ქიმიის კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერთა და პროექტორით, ჩემთვის იყო დიდი ხელშეწყობა და ფუფუნება. კარგად ვიყენებდი ისეთ ინტერნეტ-რესურსებს, როგორცაა: ვირტუალური ლაბორატორია, PhET სიმულატორი, skool Georgia, learningpps.org.

ინტერვენცია №7. ინდივიდუალური მუშაობა ძლიერ და სუსტ მოსწავლეებთან


ფოკუსჯგუფის დროს ძლიერმა მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სუსტ და საგაკვეთილო პროცესისათვის ხელისშემშლელ მოსწავლეებთან საჭიროა ინდივიდუალური მიდგომები. ასეთი მოსწავლეებისთვის შევადგინე ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი. კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით ვატარებდი დამატებით მეცადინეობას ამ მოსწავლეებთან. ვეხმარებოდი მარტივ სავარჯიშოებისა და ტესტების გაკეთებაში, ვუხსნიდი ქიმიურ ტერმინებისა და ცნებებს. ამ ინტერვენციით სუსტი მოსწავლეები უფრო გაიხსნენ და მიეცათ მათ სწავლის სტიმული. თუმცა რამდენიმე მოსწავლესთან შედეგს ვერ მივაღწიე გაცდენებისა და სიზარმაცის გამო.

თავი 6. ინტერვენციების შეფასება

ამ თავში გაგაცნობთ, თუ როგორ შევამოწმე ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციებით მოგვარდა თუ არა კვლევისთვის შერჩეული პრობლემა. ამ მიზნით ისევ ჩავატარე კვლევა და გამოვიყენე იგივე ინსტრუმენტები, რაც კვლევის დასაწყისში მქონდა ნაჩვენები (მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა ღია და დახურული კითხვებით, ინტერვიუ ფოკუსჯგუფთან, დაკვირვება). მიღებული შედეგები შევადარე კვლევის პირველი ეტაპის მონაცემებს. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების პასუხებიდან.


გამოკითხული 31 მშობლიდან მხოლოდ 7 მშობელი ამბობს, რომ მის შვილს უძნელდება დამოუკიდებლად ქიმიის სწავლა, 24 მშობლის თქმით, მის შვილს არ უძნელდება ქიმიის სწავლა.

უძნელდება თუ არა თქვენს შვილს ქიმიის სწავლა დამოუკიდებლად?




გამოკითხული 31 მოსწავლიდან 27 პასუხობს, რომ ქიმიის გაკვეთილი საინტერესოა.

არის თუ არა თქვენთვის ქიმიის გაკვეთილი საინტერესო?




გამოკითხული 31 მოსწავლიდან 25 მოსწავლე უკვე ჩართულია საგაკვეთილო პროცესში.

ხართ თუ არა აქტიურად ჩართული საგაკვეთილო პროცესში?



განმეორებითი გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 31 მოსწავლიდან 23 უკვე აცნობიერებს ქიმიის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აცნობიერებთ თუ არა იმ ფაქტს, რომ ქიმიაში მიღებულ ცოდნას გამოიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში?



გრაფიკული დიაგრამების მიხედვით, თუ შევადარებთ კვლევის პირველი და მეორე ეტაპის შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ ჩემს მიერ განხორციელებული

ინტერვენციებით შეიცვალა პროცენტული თანაფარდობა დადებით და უარყოფით პასუხებს შორის. მაშასადამე, ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევდა მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას, შესუსტდა.

თავი 7. დასკვნა

ამ თავში წარმოგიდგენთ, თუ რა დასკვნამდე მივედი ჩემს მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის შედეგად. მინდა ავლინო, რომ კვლევისთვის შერჩეული თემა მორგებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებზე და აქტუალური იყო სკოლისათვის. კვლევის დიაგნოსტიკის ეტაპზე კოლეგების პასუხებიდან გაირკვა, რომ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია არა მარტო ქიმიაში, არამედ სხვა საბუნებისმეტყველო საგნებშიც მკვეთრად შეინიშნება.

კვლევის დასაწყისში მოსწავლეებში დაბალი იყო შინაგანი მოტივაცია, რაც გამოწვეული იყო როგორც მათი ასაკობრივი თავისებურებებით, ასევე მათი ნეგატიური დამოკიდებულებით ზოგადად საგანთან.

კვლევის პროცესში მოსწავლეთან ერთად ჩართულები იყვნენ მშობლებიც და პედაგოგებიც. პრობლემის მოსაგვარებლად ინტერვენციების სწორად დაგეგმვაში დამეხმარა სკოლის დირექტორისა და კლასის დამრიგებლის თანადგომა. კვლევის პროცესში დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე შევიძინე ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რასაც მომავალშიც გამოვიყენებ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

კვლევის პროცესში გამყარდა ურთიერთობა და თანამშრომლობა მშობლებთანაც. მშობლები უფრო მეტად აქტიურები და ჩართულები გახდნენ შვილების სასწავლო პროცესში, რამაც დიდი როლი ითამაშა მათი მოტივაციის გაუმჯობესებაზე. თუმცა მშობლებთან თანამშრომლობის საკითხი ბოლომდე არ არის მოგვარებული. რთული ცხოვრებისეული პირობების გამო მშობელთა ნაწილი სამუშაოდ არის წასული საზღვარგარეთ ან იმყოფებიან განქორწინებაში. ასეთი ბავშვებისთვის ასაკობრივად გარდატეხის პერიოდი რთული პერიოდია და მეტ ხელისშეწყობას საჭიროებს ახლობლებისაგან.

კვლევის პროცესში ვეყრდნობოდი ათასწლეულის ფონდის მიერ დაფინანსებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და სატრენინგო მასალას. ასევე ვითვალისწინებდი მასწავლებლისა და სქემის გზამკვლევებში მოცემულ რეკომენდაციებს სწავლა/სწავლების ერთიან პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით.

კვლევის წარმატებით განხორციელების მიზნით გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას. მოვიძიე უამრავი საინტერესო ინფორმაცია, რაც ზოგადად მოტივაციასა და მისი გაუმჯობესების სტრატეგიებს უკავშირდებოდა. მოვიძიე და შევქმენი უამრავი სასარგებლო რესურსი, რომელიც არამარტო მე, არამედ სხვა პედაგოგებსაც გამოადგებათ თავიანთი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ განხორციელებულმა კვლევამ მიზანს მიაღწია. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ განმეორებითი კვლევის ჩატარებისას მშობელთა და მოსწავლეთა პასუხებში აისახა, რომ კლასში ქიმის მიმართ მოტივაცია ნამდვილად ამაღლდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა ბოლომდეა გადაჭრილი და ამ მხრივ მუშაობა უნდა შეწყდეს. ამ მიმართულებით მუშაობას უეჭველად გავაგრძელებ როგორც იგივე კლასში სწავლების შემდეგ საფეხურზე, ასევე სხვა კლასებშიც. კვლევამ შემძინა დიდი პრაქტიკული გამოცდილება და დადებითი მუხტი, რასაც აუცილებლად გავუზიარებ ჩემს კოლეგებს, მშობლებს და განათლების საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

კვლევა ჩატარდა ეთიკური ნორმების დაცვით. კვლევის შესახებ ინფორმირებული იყო სასკოლო საზოგადოება და მშობლები. კვლევის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დროს დაცული იყო კონფიდენციალობის პრინციპი.

კვლევის განხორციელებისას ჩემი დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით ჩემს თავს და კოლეგებს გავუწევდი შემდეგ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ესენია:

1. კლასში უნდა შევქმნათ ისეთი მეგობრული ატმოსფერო, რომ მოსწავლეებმა თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნონ. ისინი უნდა დარწმუნდნენ იმაში,

რომ მათ მიერ გამოთქმული აზრები არ იქნება განსჯისა და დაცინვის საგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ჩართულობა და ინტერესი გაკვეთილის მიმართ შემცირდება.

2. მოსწავლის წარმატებაზე და წარუმატებლობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახური გარემო და მშობლების დაინტერესება მათი სწავლით. უმეტესად წარმატებას აღწევენ ის მოსწავლეები, რომელთა ოჯახებშიც სწავლა პრიორიტეტია და პრესტიჟული.
3. მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას, ინტერესს და პოზიტიურ განწყობას სწავლის მიმართ მნიშვნელოვნად ზრდის საკლასო გარემოს მოწყობა, ვიზუალური რესურსების გამოყენება, სახალისო აქტივობები, პროექტები და ექსპერიმენტები.
4. გარდატეხის ასაკში მოსწავლეებს შესუსტებული აქვთ შინაგანი მოტივაცია. ამიტომაც საჭიროა გარეგანი მოტივაციის ფორმებით,(როგორცაა, შექება, ჯილდო, კარგი ქულა)წავახალისოთ და სტიმული მივცეთ მათ შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.
5. მიზნობრივად დაგეგმილი კლასგარეშე აქტივობები,(როგორცაა:კლუბის შექმნა, პროექტი, ექსკურსია, ინდივიდუალური მუშაობა ძლიერ და სუსტ მოსწავლეებთან და ა.შ.)ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. რაც საბოლოო ჯამში სწავლის მოტივაციის ამაღლების საწინდარია.

ბიბლიოგრაფია

1.მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებელთათვის:

I.განვითარებისა და სწავლების თეორიები

II.სწავლება და შეფასება

III.სასწავლო და პროფესიული გარემო

2. სოფიკო ლობჯანიძე. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ <http://mastsavlebeli.ge>
3. ნინო კაპანაძე 1 აპრილი, 2016 „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კვლერისეული მოდელი“-ინტერნეტგაზეთი-mastsavlebeli.ge“
4. თეო ჭყოიძე. 6 იანვარი. 2015 „სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები“ ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge
5. თეო ჭყოიძე. 24 ოქტომბერი, 2013 „რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას“ ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge
6. მანანა ბოჭორიშვილი „ცოდნის აგების პროცედურები ანუ რა სურთ მოსწავლეებს“ <http://mastsavlebeli.ge>
7. ქეთევან ოსიაშვილი. 9 აგვისტო. 2013. „როგორ ავუმადლოთ მოსწავლეს სასწავლო მოტივაცია“. ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge
8. „სქემის გზამკვლევი“
9. „შებრუნებული საკლასო ოთახი“ მასწავლებლის გზამკვლევი.
10. ლელა გოგინაშვილი „სწავლა-სწავლება დღეს–შებრუნებული საკლასო ოთახი“ 6 თებერვალი, 2015
11. თამარ კაციტაძე „ბრუნერის მეთოდი განათლებაში“ 25 ოქტომბერი, 2012.
12. ანიტა ვულფოლკი „განათლების ფსიქოლოგია“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლ;ობა. თბილისი 2009
13. „კლასის მართვა: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის“ რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ჯ. ფიქერინგი. 2009

დანართები

დანართი №1

სამოქმედო კვლევის ეტაპები

		ოქტ.	ნოემ.	დეკ.	იანვ.	თებ.	მარ.	აპრ.	მაის ი	ივნ.
1	საკვლევი თემის შერჩევა	✓								
2	ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓	✓	✓	✓			
3	პრობლემის გამომწვევი მიზეზები	✓								
4	კვლევის მეთოდოლოგია		✓							
5	მონაცემთა შეგროვება/ანალიზი		✓	✓						
6	დასკვნები/მიგნებები			✓						
7	ინტერვენციების დაგეგმვა			✓						
8	ინტერვენციების განხორციელება				✓	✓	✓	✓		
9	ინტერვენციების შეფასება								✓	
10	ანგარიშის მომზადება						✓	✓	✓	✓

დანართი №2

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ოქმი#1

ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრა

თარიღი:

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. (კათედრის თავჯდომარე)
2. (ბიოლოგიის პედაგოგი)
3. (ქიმიის პედაგოგი)
4. (ფიზიკის პედაგოგი)
5.(ფიზიკის პედაგოგი)
6.(ფიზიკის პედაგოგი)
7. (ფიზიკის პედაგოგი)

შეხვედრის მიზანი:

ქიმიის პედაგოგის, რუსუდან შავაძის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემის განხილვა

შეხვედრაზე განიხილეს:

ქიმიის პედაგოგის რუსუდან შავაძის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის თემად შერჩეულია „მოტივაციის გაუმჯობესების გზების დანერგვა ქიმიის გაკვეთილზე VIII კლასში“.

დანართი №3

მშობელთა თანხმობის ფურცელი

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე: „მოტივაციის გაუმჯობესების გზების დანერგვა ქიმიის გაკვეთილზე VIII კლასში“.

გთხოვთ, ნება დართოთ თქვენს შვილს მონაწილეობა მიიღოს ამ კვლევაში.

მასწავლებლის ხელმოწერა: / /

მშობლის ხელმოწერა: / /

თარიღი:

მშობელთა ანკეტირება

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე: „მოტივაციის გაუმჯობესების გზების დანერგვა ქიმიის გაკვეთილზე VIII^ა კლასში“.

კვლევაში ჩართული არიან თქვენი შვილები თქვენი თანხმობის საფუძველზე. თქვენი პასუხები ძალიან მნიშვნელოვანია და დიდად დამეხმარება კლასში საგნის მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გასატარები აქტივობების სწორად დაგეგმვაში. თქვენი პასუხები იქნება ანონიმური.

გთხოვთ, ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებს გულწრფელად უპასუხოთ.

1. მოსწონს თუ არა თქვენს შვილს ქიმიის გაკვეთილები?

ა) მოსწონს

ბ) არ მოსწონს

2. უძნელდება თუ არა თქვენს შვილს ქიმიის სწავლა დამოუკიდებლად?

ა) უძნელდება

ბ) არ უძნელდება

3. ხართ თუ არა ჩართული თქვენი შვილის სწავლის პროცესში მოტივაციის ამაღლების მიზნით?

ა) ჩართული ვარ

ბ) ვერ ვახერხებ ჩართვას

4. თვლით, თუ არა, რომ თქვენსა და თქვენი შვილის პედაგოგებს შორის ურთიერთობა არის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

5. როგორ ფიქრობთ, სასწავლო პროცესისადმი თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არ არის გარდატეხის ასაკი?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

6. რა დროს ანდომებს თქვენი შვილი სახლში ქიმიის სწავლას?

პასუხი:.....

7. თუ თქვენს შვილს აქვს დაბალი შეფასება ქიმიაში, რას თვლით ამის მიზეზად?

პასუხი:

8. ეხმარება, თუ არა თქვენს შვილს სახლში ვინმე ქიმიის დავალების შესრულებაში?

ა) კი ბ) არა გ) ხანდახან

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

დანართი №5

მოსწავლეთა გამოკითხვა

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე: „მოტივაციის ამაღლების გზები ქიმიის გაკვეთილზე VIII კლასში“, რომლის მიზანია მოსწავლეებში გაუმჯობესდეს სტიმული საგნის მიმართ და შესაბამისად ამაღლდეს სწავლის აკადემიური დონე. თქვენი პასუხები ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით ჩასატარებლად.

გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს.

ანონიმურობა გარანტირებულია!

1. არის თუ არა თქვენთვის ქიმიის გაკვეთილი საინტერესო?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

2. აცნობიერებთ თუ არა იმ ფაქტს, რომ ქიმიაში მიღებულ ცოდნას გამოიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ა) ვაცნობიერებ ბ) ვერ ვაცნობიერებ გ) ნაწილობრივ ვაცნობიერებ

3. ჩამოთვლილი საგნებიდან რომელს მიანიჭებდით უპირატესობას? დაალაგეთ საგნები თქვენი პრიორიტეტების მიხედვით?

1. ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, რუსული ენა, ფიზკულტურა, სამოქალაქო განათლება.

4. ხართ თუ არა აქტიურად ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ ვარ

5. გაკვეთილზე მუშაობის რომელი ფორმა უფრო მოგწონთ?

ა)ჯგუფური ბ)წყვილებში მუშაობა გ)დამოუკიდებელი მუშაობა

6.რა გიშლით ხელს სწავლაში?

ა)დავალების სირთულე ბ)სიზარმაცე გ)დროის უკმარისობა დ)საგნის მიმართ ნაკლები ინტერესი

7.ჩამოთვლილთაგან რომელს მიიჩნევდით ყველაზე მეტ სირთულედ ქიმიის სწავლებისას?

ა)ტექსტზე მუშაობა ბ)ფორმულების შედგენა გ) ამოცანების ამოხსნა დ)წაკითხულის გააზრება

8. როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესო იქნება თქვენთვის?

.....

9. მისაღებია, თუ არა თქვენთვის სახელმძღვანელო, რომლითაც თქვენ სწავლობთ ქიმიას?

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

დანართი №6

კითხვები ფოკუს-ჯგუფისთვის

1.ყველაზე მეტად რა გიშლით ხელს ქიმიის სწავლაში?

2. რა დროს ანდომებთ სახლში ქიმიის სწავლას?

3. როგორი ტიპის გაკვეთილებზე ხართ უფრო მეტად ჩართულები?

4.რა როლი აქვს ქიმიის გაკვეთილზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ან ექსპერიმენტს?

5.როცა გაკვეთილი გაუგებარია თქვენთვის, რა ზომას მიმართავთ ამ შემთხვევაში?

6.როგორ აფასებთ იმ ფაქტს, როცა თქვენი თანაკლასელი გაკვეთილზე არღვევს დისციპლინას?

7.როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევა ის ასე?

8.რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქიმიის გაკვეთილზე მოსწავლეს ჰქონდეს მაღალი მოტივაცია და გაკვეთილი იყოს შედეგიანი?

რეფლექსია

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „მოტივაციის გაუმჯობესების გზების დანერგვა ქიმიის გაკვეთილზე VIII^ა კლასში“ განვახორციელე 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში . კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო ქ.ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის VIII^ა კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები. კლასის ორმა მოსწავლემ და მშობელმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე. კვლევისთვის თემის შერჩევა განაპირობა პრობლემამ, რომელსაც წავაწყდი VIII^ა კლასში ქიმიის სწავლებისას. მოსწავლეთა სწავლის დაბალი მოტივაცია ძალიან ხელს მიშლიდა საგაკვეთილო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში. პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად დამჭირდა სხვადასხვა ინსტრუქტის გამოყენება. როგორც იყო, საუბრები კოლეგებთან, კლასის დარიგებელთან, მშობელთა ანკეტირება, მოსწავლეთა გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვება. საკვლევი თემის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლის დირექცია. კვლევა განვახორციელე ორ ეტაპად: დიაგნოსტიკის და თერაპიის ეტაპებად. დიაგნოსტიკის ეტაპზე ჩემს მიერ გაკეთებული დასკვნებისა და მიგნებების საფუძველზე დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. კვლევა მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი „დროის გეგმის“ მიხედვით. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ყველა ინტერვენცია შედეგზე გავიდა. მხოლოდ 2 მოსწავლე ვერ ახერხებდა სისტემატურად ჩართვას აქტივობებში, რომლებთანაც სამომავლოდ გავაგრძელებ ინდივიდუალური გეგმით მუშაობას. კვლევის განხორციელებისას საკმაოდ ამაღლდა თანამშრომლობა როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან, რამაც ხელი შეუწყო პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. კვლევის პერიოდში დაცული იყო ეთიკური ნორმები ანონიმურობის პრინციპით.

განხორციელებული ინტერვენციებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მოდელი. ამ ინტერვენციის დროს ჩემს მიერ ჩაწერილი ვიდეო გაკვეთილები ატვირთულია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე https://www.youtube.com/channel/UCOBYbJiLgLLl-aNk9JpqAdg/videos?disable_polymer=1

, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო რესურსად როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა.

კვლევის ანგარიში წარვუდგინე კათედრას და შემდეგ პრეზენტაციის სახით წარვადგინე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2019 წლის 12 ივნისს. კოლეგებისგან მივიღე უკაკავშირის გზით რეკომენდაციები. კერძოდ, კვლევის პერიოდში განხორციელებული აქტივობები მოტივაციის ასამაღლებლად გამოყენებული იქნას სხვა კლასებშიც. ასევე, სხდომაზე კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ჩემი პრაქტიკის კვლევის გამოცდილებას აუცილებლად გაიზიარებენ და გამოიყენებენ საკუთარ პრაქტიკაში.

კვლევამ შემძინა მოსწავლეებთან და მშობლებთან მუშაობის კარგი გამოცდილება, რასაც აუცილებლად განვამტკიცებ და გამოვიყენებ სხვა დროსაც. შემიძლია ვთქვა, რომ კვლევამ მიზანს მიაღწია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა მთლიანად მოგვარდა და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა შეჩერდეს. ჩემს მიერ შემუსავებულ სტრატეგიებს, რომლებიც გამოვიყენე VIII^ა კლასში მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, განვაავითარებ და დავნერგავ სხვა კლასებშიც.